განმარტებითი ბარათი

შევისწავლეთ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისგან გამოგზავნილი წერილი, სადაც განმარტებულია თბილისის არქიტექტურის სამსახურში განსახილველად შეტანილი საოფისე, კომერციული შენობის (განაცხადი #AR1668223) არქიტექტურულ-გეგმარებითი ხარვეზები სახანძრო უსაფრთხოებასთან მიმართებაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით გვინდა წარმოგიდგინოთ ჩვენი პოზიცია, გთხოვთ გაითვალისწინოთ ის და განიხილოთ დღევანდელი მოქმედი სამშენებლო რეგულაციების შესაბამისად.

ქვემოთ ნომერაციის მიხედვით აგიღწერთ თვითოეულ საგანგებო სიტუაციის სამსახურიდან მოწერილ ხარვეზს და მოვახდენთ შესაბამისობას 41 დადგენილებით გათვალისწინებულ ნორმებთან.

წესები-ში მოიაზრება „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტი

1. ნაგებობის გარე ხანძრის ჩაქრობისთვის გავითვალისწინეთ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პოზიცია და მითითებულ ადგილას დავაგეგმარეთ ჰიდრანტები.
2. პირველი პუნქტის შესაბამისად მოეწყობა ქსელი გარე ხანძრის ჩაქრობისთვის.
3. ხანძარსაწინააღმდეგო მანძილების მიხედვით საპროექტო ნაგებობაში გათვალისწინებულია გარე კედლებში არსებული ღიობების ფართობი და გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი. რომელიც რეგულირდება **წესების** 705.8 და 602 ქვეთავებით. შესაბამისად ხანძრის საშიშროება სხვა ნაკვეთებზე არ ვრცელდება დახანძრის თვალსაზრისით რისკის ქვეშ არ დგება მის მიმდებარედ არსებული ნაგებობები.
4. მიწისქვეშა სართულებზე ლიფტის შესასვლელთან მოწყობილია დამატებით კარი რომლის ხანძარმედეგობა განისაზღვრება 45 წუთით.
5. აღნიშნული მოთხოვნა გავითვალისწინეთ და მოვიყვანეთ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების 1008.1.9.11 პუნქტთან შესაბამისობაში.
6. თქვენი ხარვეზის შესაბამისად სახანძრო ონკანი (მილდგარი) გამოვიტანეთ დერეფანში.
7. 41 დადგენილების შესაბამისად ავტოსაშხეფი სისტემის ავზისა და ტუმბოს სივრცე დასაშვებია განთავსდეს პროექტით განსაზღვრულ ადგილას, რომელსაც არ ესაჭიროება არანაირი დამატებით გასასვლელი, რადგან ამ სივრცეში არ ხდება არანაირი სახანძრო საფრთხის შემცველი მოქმედება. გეგმარების თვალსაზრისით

ტერიტორიაზე არ გვაქვს სხვა ადგილი სადაც შესაძლებელი იქნებოდა აღნიშნული სივრცის განთავსება. გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი არგუმენტი.

8. საგენერატოროს გეგმარება აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს. კერძოდ: გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის შემთხვევაში, ცეცხლმედეგი გამმიჯნავების შემთხვევაში, ავტოსადგომთან იმიჯნება ვესტიბიულით რაც აკმაყოფილებს წესების 406.4.7 ქვეთავის მოთხოვნებს. საგენერატოროს წესების მიხედვით დამატებითი გასასვლელი არ მოეთხოვება.
9. ავტოსადგომში განისაზღვრა კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის მოწყობა რაც პროექტში დაფიქსირებულია სქემის სახის.
10. აღნიშნული სამართავი სისტემები გათვალისწინებული იქნება ავტოსაშხეპი ავზის სისტემისა და ტუმბოს ოთახში -6.00 ნიშნულზე.
11. შენობაში გათვალისწინებულია კვამლზე მორეაგირე სახანძრო განგაშის სისტემა, ევაკუაციის მართვის სისტემები და საევაკუაციო განათების სისტემები.
12. ვინაიდან გათვალისწინებულ ვადებში ვერ ხერხდება არქიტექტურული პროექტის შეთანხმება გთხოვთ მოგვცეთ საშუალება აღნიშნული დეტალური პროექტები წარმოვადგინოთ თქვენს მიერ გაცემული თანხმობის შემდგომ 3 თვის ვადაში.

განმარტებითი ბარათი

განმარტებითი ბარათი 02/07/2019 მოსულ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ხარვეზზე :

1. 0,00 ნიშნულზე გათვალისწინებულ იქნა საევაკუაციო გზებზე განლაგებული კარებების გაღება შენობის გასვლის მიმართულებით.
2. -6.00 ნიშნულზე განთავსებული სატუმბი სადგური საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან კონსულტაციის შედეგად განთავსდა -3.00 ნიშნულზე.
3. -6.00 ნიშნულზე განთავსებული საგენერატორო სათავსო გაუქმდა და საგანგებო მართვის სამსახურთან კონსულტაციის შედეგად განთავსდა შენობის უკანა ეზოში -3.00 ნიშნულზე
4. შენობა აღიჭურვება თანამედროვე ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მაკონტროლირებელი მოწყობილობებით, რომლებიც არ საჭიროებს მომსახურე პერსონალის 24 საათიან მორიგეობას.

გარდა აღნიშნული ხარვეზებისა საგანგებო სიტუაციის სამსახურთან კონსულტაციის შედეგად -3.00 და -6.00 ნიშნულების დამაკავშირებელ პანდუსსზე მოეწყო სართულებს შორის ჩამკეტი ფარდა/ჟალუზი.